სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
ხელშეკრულება N57

ქალაქი ბათუმი ივლისი 2022 წელი

სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების მიზნით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის „ს1“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ შპს „აჭარის პროექტების მართვის კომპანია“ (შემდგომში „შემსყიდველი“), წარმოდგენილი მისი დირექტორის ბაქარ ჩიტაიას სახით და მეორეს მხრივ შპს „სანდასუფთავება“ (შემდგომში „მიმწოდებელი“), წარმოდგენილი მისი დირექტორის სულხან ევგენიძის სახით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომ „ხელშეკრულება“) - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება მასზე თანდართული ყველა დოკუმენტითა და დამატებებით, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ;

1.2. „ხელშეკრულების საერთო ღირებულება“ – ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულების სანაცვლოდ;

1.3. „შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4. „მიმწოდებელი“ – პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურებას მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5. „დღე“, „კვირა“, „თვე“ – კალენდარული დღე, კვირა, თვე;

1.6. „მომსახურება“ - ხელშეკრულების მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი;

1.7. „ფასების ცხრილი“ – რომელიც თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს შპს „აჭარის პროექტების მართვის კომპანია“-ს მიერ 2022 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმის შესაბამისად, საკუთარი სახსრებით, ბათუმის ცენტრალურ სტადიონზე ტერიტორიის დერატიზაცია დეზინსექციის (CPV კოდი 90900000 - დასუფთავება და სანიტარიული მომსახურება) მომსახურების (შემდგომში „მომსახურება“) შესყიდვა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებისა და ხელშეკრულებაზე თანდართული დანართი N1-ის შესაბამისად.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 2 190 (ორი ათას ასოთხმოცდაათი) ლარს დღგ-ს ჩათვლით;

3.2. ხელშეკრულების ღირებულება შესაძლებელია დაზუსტდეს ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულების შესაბამისად;

3.3. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების განხორციელებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებსა და გადასახდელებს, რომელთა გადახდაზე პასუხისგებელია მიმწოდებელი.

4. ანგარიშსწორების ფორმა და პირობები

4.1. ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარისწორებით ლარში;

4.2. წინასწარი ანგარიშსწორება არ გამოიყენება;
4.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ერთჯერადად, მიმწოდებელის მიერ ფაქტობრივად გაწეული მომსახურების შესაბამისად შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტის და საგადასახადო დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში;
4.4. თუ გაწეული მომსახურების ღირებულებამ არ შეადგინა ხელშეკრულების საერთო ღირებულება, შემსყიდველი მიმწოდებელს გადაუხდის ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულებას. შესაბამისად, მიმწოდებელს პრეტენზია არ უნდა გააჩნდეს აუთვისებელ თანხაზე.

5. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

5.1. მომსახურების მიღება-ჩაბარებას ახორციელებს სათანადოდ უფლებამოსილი პირი;
5.2. შემსყიდველის მხრიდან მომსახურების მიღება-ჩაბარებაზე უფლებამოსილი წარმომადგენლია შპს „აჭარის პროექტების მართვის კომპანია“-ს მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის მენეჯერი - როინ შავაძე;
5.3. მომსახურების მიღება განხორციელდება ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულების მითითებით გაფორმებული მიღება–ჩაბარების აქტის და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენის გზით.

6. მომსახურების ადგილი და ვადა

6.1. მომსახურების გაწევის ადგილია ქალაქ ბათუმში, 20 000 მაყურებელზე გათვლილი UEFA-ას IV კატეგორიის საფეხბურთო სტადიონი;
6.2. მომსახურების გაწევის ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 (ათი) კალენდარული დღე.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. შემსყიდველს უფლება აქვს შეამოწმოს გაწეული მომსახურების შესაბამისობა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან;
7.2. შემსყიდველი ვალდებულია:
7.2.1. მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების შესაბამისად;
7.2.2. უზრუნველყოს მომსახურების მიღება ამ ხელშეკრულებით დადგენილი პირობების გათვალისწინებით;
7.3. მიმწოდებელს უფლება აქვს მოსთხოვოს შემსყიდველს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების გათვალისწინებით;
7.4. მიმწოდებელი ვალდებულია:
7.4.1. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა;
7.4.2. შეასრულოს ხელშეკრულებით აღებული ვალდებულებები სათანადო ხარისხითა და აუცილებელი მოცულობით, იმ ვადაში, რომელიც მითითებულია ხელშეკრულებაში;

8. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლი

8.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს შპს „აჭარის პროექტების მართვის კომპანია“-ს მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის მენეჯერი - როინ შავაძე;
8.2. კონტროლი გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების მიმდინარეობის კონტროლს.

9. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დაგვიანებით შესრულების ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, შემსყიდველი მიმწოდებელს აკისრებს პირგასამტეხლოს შესასრულებელი ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 0.02%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე;

9.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო მიმწოდებელთან ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ის ოდენობით;
9.3. შემსყიდველი შესაბამისი წერილობითი შეტყობინების საფუძველზე ახორციელებს დარიცხული პირგასამტეხლოს თანხის დაკავებას მიმწოდებელზე ასანაზღაურებელი მომსახურების ღირებულებიდან;
9.4. იმ შემთხვევაში, თუ დარიცხული პირგასამტეხლოს თანხა აღემატება მიმწოდებელზე ასანაზღაურებელი მომსახურების ღირებულებას, მიმწოდებელი ვალდებულია პირგასამტეხლოს თანხა ჩარიცხოს შეტყობინებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე შეტყობინების მიღებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში;
9.5. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით განსაზღვრული ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა;
10.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად;
10.3. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა;
10.4. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

11. ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1. შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:
ა) თუ შემსყიდველი დარწმუნდება, რომ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;
ბ) თუ ხელშეკრულების 9.1. ქვეპუნქტის საფუძველზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ს;
გ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;
11.2. ხელშეკრულების 11.1. პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია მიმწოდებელს აუნაზღაუროს ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება;
11.3. შემსყიდველი ვალდებულია არანაკლებ 10 (ათი) დღით ადრე წერილობით აცნობოს მიმწოდებელს 11.1. პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის თაობაზე;
11.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვეტოს ხელშეკრულება, მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესითა და პირობებით;
11.5. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

12. გარანტია

12.1. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების ხარისხი და სტანდარტები უნდა შეესაბამებოდეს ხელშეკრულებით განსაზღვრულ პირობებს და მსგავსი მომსახურებისათვის აღიარებულ სტანდარტებსა და ნორმებს.

13. დაუძლეველი ძალა

13.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით;

13.2. ამ პუნქტის მიზნებისათვის „დაუძლეველი ძალა“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი;

13.3. თუ მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ვალდებულებებს, მან ამის შესახებ დაუყოვნებლივ, არაუგვიანეს ორი სამუშაო დღის ვადაში წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს აღნიშნული გარემოების დადგომის შესახებ;

13.4. 13.3. პუნქტით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარე არ გათავისუფლდება ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან;

13.5. მხარეთა ვალდებულებები და პასუხისმგებლობა განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე;

13.6. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა ერთ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

14. სადაო საკითხების გადაწყვეტა

14.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ;

14.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მიმართოს სასამართლოს.

15. სხვა პირობები

15.1. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

15.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

15.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით;

15.4 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, ელექტრონული წერილის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება;

15.5. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით;

15.6. ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის, შესრულდება ქართულ ენაზე;

15.7. უცხოურენოვან დოკუმენტსა და მის ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანს შორის პრიორიტეტი ენიჭება ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანს;

15.8. ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომლებიც ინახება ხელშეკრულების მხარეებთან.

16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

16.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულებაზე ხელმოწერის თარიღიდან და მოქმედებს 2022 წლის 31 აგვისტოს ჩათვლით;

16.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მოთხოვნის უფლება ძალაში რჩება ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლის შემდეგაც.

17. მხარეთა რეკვიზიტები

,,შემსყიდველი”	**„მიმწოდებელი“**
შპს „აჭარის პროექტების მართვის კომპანია“	შპს „სანდასუფთავება“
მის. ქ. ბათუმი, ჟიული შარტავას გამზირი N13	იურ.მის: ქ. ბათუმი, ჯავახიშვილის ქ., N55
	სს „ლიბერთი ბანკი”
	ბანკის კოდი LBRTGE22
	ა/ა GE14LB0610005734020009
ს/კ 445409415	ს/კ 245548153
დირექტორი	დირექტორი
ბაქარ ჩიტაია	სულხან ევგენიძე

Bakar Chitaia

Digitally signed by Bakar Chitaia
Date: 2022.07.01 13:52:56 +04'00'

დანართი N1

ფასების ცხრილი

#	შესყიდვის ობიექტის დასახელება და ტექნიკური დავალება	განზომილების ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი	საერთ. ფასი
1	ბათუმის ცენტრალურ სტადიონზე ტერიტორიის დერატიზაციის მომსახურება	კვ/მ	3000	0.28	840.00
2	ბათუმის ცენტრალურ სტადიონზე ტერიტორიის დეზინსექციის მომსახურება	კვ/მ	3000	0.45	1350.00
	ჯამი				**2190.00**

„შემსყიდველი"
შპს „აჭარის პროექტების მართვის კომპანია"
დირექტორი
ბაქარ ჩიტაია

„მიმწოდებელი"
შპს „სანდასუფთავება"
დირექტორი
სულხან ევგენიძე